საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-539

09/07/2018

ქ. თბილისი

„შპს „New Road“-ის ასფალტის საწარმოს და ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 2 ივლისის №2-534 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

მიმდინარე წლის 6 ივნისს შპს „New Road“-ის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით წარმოდგენილი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში ასფალტის საწარმოს და ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ 2 ივლისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-534 ბრძანება „შპს „New Road“-ის ასფალტის საწარმოს და ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“.

როგორც ბრძანებაშია მითითებული, საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. დვაბზუში, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, ს/კ 26.19.17.197. საპროექტო ტერიტორიაზე ადრე ფუნქციონირებდა ასფალტ-ბეტონის ქარხანა და ქვის სამსხვრევი დანადგარი. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაცილებულია დაახლოებით 330 მეტრით, ხოლო მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, საპროექტო ტერიტორის საზღვრიდან განლაგებულია 40 მეტრში, მდინარე ნატანებიდან ტერიტორია დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით. თუმცა ბრძანების მეორე გვერდის მე-6 აბზაცში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ, მდინარე ნატანების ნაცვლად მითითებულია მდინარე სუფსა, რაც საჭიროებს შესწორებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „New Road“-ის ასფალტის საწარმოს და ინერტული მასალების სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე

სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 2 ივლისის №2-534 ბრძანების მეორე გვერდის მე-6 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საწარმოს ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა დაგეგმილია ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული ტბორებიდან ტექნიკური არხის საშუალებით, რომელიც მდინარე ნატანებიდან საზრდოობს“;

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „New road“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „New road“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი